



აქაქი წროთლის  
სახალმწიფო უნივერსიტატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა

**Westerneuropean and American Literature**

ქუთაისი  
2011

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა  
Westerneuropean and American Literature**

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, **ნანული კაკაურიძე - პროფესორი**, აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი;

ტელ. +995-431- 24 44 86(სახლი)

+995-431- 24 67 48(დეპარტამენტი)

599 95 29 97(მობილური)

+995 431 24 67 48(ფაქსი)

e-mail: germabtkutaissi@yahoo.

**პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**ა. პროგრამის მიზანი:**

სადოქტორო პროგრამა „დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ამერიკულ ლიტერატურას და ეფუძნება სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მიმართულებით. სადოქტორო სწავლების მიზანია მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგის მომზადება, რომელსაც დამოუკიდებელი კვლევის (სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კვლევითი მეთოდოლოგიისა თუ პრინციპის ფლობა, მეცნიერული სიზუსტე და კეთილსინდისიერება, საკუთარი მიდგომის, კონცეპტუალური პოზიციის შემუშავებისა და სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირების უნარი და ა. შ.) და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი ექნება. პროგრამის მიზანია, დოქტორანტმა შექმნას ორიგინალური სამეცნიერო შრომები პუბლიკაციებისა და სადოქტორო დისერტაციის სახით.

სადოქტორო პროგრამა აქტუალურია, რადგან საკვლევი პრობლემატიკა მოიცავს ანგლისტიკის, გერმანისტიკის, რომანისტიკის, ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვან და ნაკლებად შესწავლილ საკითხებს, ასევე დასავლეთევროპული და ამერიკული, დასავლეთევროპული და ქართული, ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლებისა და მეთოდების ცოდნისა და მათი გამოყენების საფუძველზე.

**საკვლევი თემატიკა:** შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ევროპული ლიტერატურის პრობლემური საკითხები, მე-17 საუკუნის ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობების პოეტიკის საკითხები, ევროპული განმანათლებლობის სპეციფიკა ლიტერატურის ცალკეულ ჟანრებში, ევრო-ამერიკული რომანტიზმის ესთეტიკა და პოეტოლოგიური კატეგორიები, ევრო-ამერიკული რეალისტური ლიტერატურის პრობლემური საკითხები, ლიტერატურული მოდერნიზმის ესთეტიკა, ნეომითოლოგიზმი ევრო-ამერიკულ ლიტერატურაში, ენობრივ-სტილური ექსპერიმენტები ევრო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში, პოსტმოდერნისტული ტენდენციები ევრო-ამერიკულ ლიტერატურაში, ევრო-ამერიკული ლიტერატურის პრობლემური საკითხების კვლევა ისტორიულ-შედარებითი, სისტემური თუ სტრუქტურული მეთოდოლოგიის საფუძველზე თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების კვლევითი პრინციპების გათვალისწინებით.

### **ბ. პროგრამის შედეგი:**

**ცოდნა და გაცნობიერება** - უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის შედეგად დოქტორანტმა უნდა შეიძინოს უპირველეს ყოვლისა დარგის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურის) ცოდნა, რაც მეცნიერების უახლეს მიღწევებს დაეყრდნობა, ასევე ზოგადად დარგთაშორისი სფეროს (დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა) შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას შემდინილი ცოდნის გაფართოების საფუძველზე მისცემს ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას სამეცნიერო მუშაობაში რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. ამაში მას დაეხმარება არჩევითი კურსების, ასევე დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდულში შემავალი კურსების შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე დოქტორანტმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება, ნაწილობრივი გადაფასება და ამ გზით ცოდნის ახალი ფარგლების გაცნობიერება, მან ასევე უნდა გააცნობიეროს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - დოქტორანტმა უნდა შეძლოს გერმანისტიკის, ანგლისტიკის, ამერიკანისტიკისა და რომანისტიკის სფეროში ინოვაციური კვლევის **დამოუკიდებლად** დაგეგმვა და მისი განხორციელება, მან ასევე უნდა შეძლოს ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავება, რაც საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. დოქტორანტის დისერტაცია მისი დაცვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა გამოქვეყნდება წიგნის სახით, ან განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით; სადისერტაციო ნაშრომი სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს; კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და შესატყვისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევისათვის.

**დასკვნის უნარი** - დოქტორანტმა უნდა შეძლოს თავის საკვლევ სფეროში (ანგლისტიკა, გერმანისტიკა, რომანისტიკა, ამერიკული ლიტერატურა) რთული, წინააღმდეგობრივი სამეცნიერო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი,

სინთეზი და შეფასება, რეტროსპექტულად უნდა გაიაზროს პრობლემური საკითხები, შეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, გამოიმუშავოს მკვლევარის უნარ-ჩვევები, დაეუფლოს სხვადასხვა კვლევით მეთოდოლოგიასა და პრინციპს, შეძლოს საკუთარი მიდგომისა და კონცეპტუალური პოზიციის შემუშავება, სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირება, სწორი მეცნიერული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, აბსტრაქტული აზროვნება. ამ საქმეში მას დიდ სამსახურს გაუწევს ისეთი დისციპლინების შესწავლა როგორცაა დარგის პრობლემური საკითხები, ლიტ. კვლევის თანამედროვე მეთოდები, ფილოსოფია, სამეცნიერო სემინარები, კოლოქვიუმები, სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაციები, დისერტაციის დაწერა.

**კომუნიკაციის უნარი** - მინიმუმ ორი ევროპული ენის მაღალ დონეზე ფლობა დოქტორანტს საშუალებას მისცემს საერთაშორისო სამეცნიერო სავრცეში სწრაფი ორიენტირებისათვის. დოქტორანტმა დასაბუთებულად და გარკვევით უნდა წარმოაჩინოს ახლად მიღებული ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მან უნდა შეძლოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან (კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე) თემატურ პოლემიკაში ჩართვა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებზე შესაბამის უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). იგი შეძლებს აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით გადასცეს თავისი ცოდნა, ლოგიკურად და მისაწვდომად ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები.

**სწავლის უნარი** - დოქტორანტმა უნდა გამოამჟღავნოს მზაობა არჩეულ სპეციალობაში ახალი სამეცნიერო იდეების გენერირებისა და განვითარებისათვის, რაც დამყარებული იქნება დასავლეთევროპული და ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე. ასეთი სახის მზაობა მას უნდა ჰქონდეს სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში.

**ღირებულებები** - დოქტორანტს უნდა გამოუმუშავდეს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისაკენ წარმართვის უნარი; სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი; ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი, აკადემიური პატიოსნება. მან უნდა შეძლოს ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად გზების კვლევა და ინოვაციური მეთოდების შემუშავება. ამის მიღწევაში მას დაეხმარება შესასწავლ დისციპლინათა ის ნაწილი, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ჰუმანისტური ტენდენციები (ლიტერატურა, ფილოსოფია და ა. შ.)



**გ. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:** უნივერსიტეტები, სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი, სასწავლო, თუ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია, მუზეუმები, გამომცემლობები, რედაქციები, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მინიმალური მოთხოვნებია:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი დასავლეთევროპულ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ფილოლოგიასა და ამერიკანისტიკაში
2. ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში, ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა).
3. სპეციალობაში მისაღები გამოცდის ჩაბარება.

ამასთან, კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atsu.edu.ge/index.html>)

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.









4.	თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები																					
5.	სამეცნიერო წერის საფუძვლები(ვისაც არ გაუვლია სწავლების წინა ეტაპებზე)																					
6.	ფილოსოფია																					
7.	მეორე უცხო ენა																					
8.	ევროპული და ამერიკული ლიტერატურის შედარებითი და სისტემური ანალიზის პრობლემური საკითხები																					
9.	საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ან უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამებზე მოსმენილი სადოქტორო კურსები																					
10.	ლიტერატურული კომპარატივისტიკა																					

**ზემოჩამოთვლილი არჩევითი კურსებიდან დოქტორანტს შეუძლია II, III, IV სემესტრებში აირჩიოს თითო 5-კრედიტიანი საგანი. (სულ 15 კრედიტი)**

**დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდული(15 კრედიტი-სავალდებულო):**

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						გამოცდა												
				I	II	III	IV	V	VI	I	II	III	IV	V	VI							
1.	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	5							+											
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებულო	5		5							+										
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5				5									+						

**სასწავლო მოდულთა კრედიტების საერთო რაოდენობა: 60 კრედიტი**

**კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი-სავალდებულო )**

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						კრედიტების რაოდენობა
			I	II	III	IV	V	VI	
1.	ბიბლიოგრაფიის შედგენა	სავალდებულო	10						10
2.	დისერტაციის პროექტის წარდგენა	სავალდებულო	5						5
3.	კოლოქვიუმები	სავალდებულო		5	5	5	5		20
4.	პუბლიკაციები	სავალდებულო				5	5	5	15
5.	დისერტაციის მომზადება და დაცვა	სავალდებულო			10	10	25	25	70

**სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კრედიტთა საერთო ჯამი: 180 კრედიტი**

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტებისა და უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ბაზაზე, დეპარტამენტებისა და ცენტრის კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკით. მატერიალური რესურსის უდიდესი ნაწილი შეძენილია გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის, DAAD-ს , DFG-სა, და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის დაფინანსებით:

სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად მატერიალურ რესურსს შეადგენს:

-32 კომპიუტერი

-3 PC

- 3 ოვერჰედპროექტორი
- 4 ასლის გადამღები აპარატი
- 4 სკანერი
- 12 მაგნიტოფონი
- 5 ტელევიზორი
- 3 ვიდეომაგნიტოფონი
- 4 CD PLAYER
- 3 ფაქსის აპარატი
- 3 პროექტორი (Bemer)
- 2 სატელიტის მიმღები
- 12ვიდეო-DVD
- 6 პრინტერი
- მუსიკალური ცენტრი
- კასეტები (ვიდეოთეკა)

ასევე:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურსცენტრი
- უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსცენტრი

მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის არსებობს უახლესი სამეცნიერო (ასევე მხატვრული) ლიტერატურა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე, რომელიც განთავსებულია ინგლისური, გერმანული, ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტებში, ამერიკის შესწავლის ცენტრსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკებში, ასევე უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

#### **მისაღები დოქტორანტების რაოდენობა:**

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ყოველ ცალკეულ მიმართულებაზე (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურა) 2 დოქტორანტის მიღება. (სულ: 8 დოქტორანტი)

**პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი:**

1. ი. ცხვედიანი – პროფ. ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი
2. ზ. არჩვაძე – პროფ. კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი
3. მ. ებანოძე – პროფ. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი
4. ვ. ოცხელი – პროფ. სლავისტიკის დეპარტამენტი
5. ნ. გაგნიძე – პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი
6. ე. ქორიძე – პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი
7. ლ. ნოზაძე – ასოც. პროფ. კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
8. თ. კობეშავიძე – ასოც. პროფ. ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი;
9. მ. კოდუაშვილი – ასოც. პროფ. ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი
10. რ. ცაილერი – დოქტ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
11. გაჩეჩილაძე – ასოც. პროფ. კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
12. მ. ჭოლაძე – ასოც. პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
13. ი. შიშინაშვილი – ასოც. პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
14. ნ. ნასარიძე – ასოც. პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
15. ნ. ჩარკვიანი – დოქტ. ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი

**სადოქტორო პროგრამის განხორციელება ხდება შემდეგი პარტნიორი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების ხელშეწყობით:**

1. ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახელობის უნივერსიტეტი (ჰაიდელბერგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)
2. დალჰაუზის უნივერსიტეტი (ჰალიფაქსი, კანადა)
3. ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დიუსელდორფი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)
4. გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება (ვაიმარი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)
5. მონტანას უნივერსიტეტი (მონტანა, აშშ)
6. სანტა კრუზის უნივერსიტეტი (კალიფორნია, აშშ)
7. მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტი (მისური, აშშ)

8. მისური-როლას უნივერსიტეტი (მისური, აშშ)
9. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. იენის ფრიდრიჰ შილერის სახ. უნივერსიტეტი (იენა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)
10. ვერსალის სენ-კანტენ-ან-ივლინის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
11. უელსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
12. ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია)
13. ბაქოს სლავური უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)

### შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებას;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

### **დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწეს აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს ზემოაღნიშნული სისტემით.

- ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით:  
1 - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი”, 2 - „არადამაკმაყოფილებელი”, 3 - „დამაკმაყოფილებელი”, 4 – „საშუალო”, 5 - „კარგი”, 6 - „ძალიან კარგი”, 7 - „ფრიადი”.
- ბ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული  $E$ ;
- გ)  $E$  განისაზღვრება, როგორც  $E$  – თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ  $E$  არის  $n$ , 5 სახის, მაშინ  $E$  განისაზღვრება  $n + 1$  – ის ტოლად)



- დ) საბოლოო შეფასება არის  $E$  რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ  $2/3$  –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ –ით ან „არადამაკმაყოფილებელი“ –ით)
- ე) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 2$ .
- ვ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 1$ .